

## ჟურნალ „თემიდა“ \_ში გამოსაქვეყნებელი სტატიის სტანდარტები

**სტატიის მოცულობა:** უნდა იყოს, როგორც წესი არანაკლებ 8 და არაუმეტეს 15 გვერდისა.

**ენა:** სტატია შესრულებული უნდა იყოს ქართულ, ან ინგლისურ ენაზე ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გარეშე.

**სტრუქტურა:** სტატია უნდა შედგებოდეს ქართული და ინგლისური რეზიუმისგან, შესავალი ნაწილის, თავი(ები)სგან, ქვეთავებისა და დასკვნისგან.

**მინდორი:** მარცხენა მხარე – 38 მმ, დანარჩენი მხარეები – 25 მმ.

**შრიფტი:** ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს Sylfaen ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 11. ხოლო სქოლიოში 9.

**გვერდების ნუმერაცია:** გვერდები ინომრება თანმიმდევრულად ძირითად ტექსტთან ერთად, თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 9. პარაგრაფი -0.

**სტრიქონებს შორის მანძილი:** ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.15. მცირე ზომის სექციებისათვის (ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1.

**ლიტერატურის ციტირება:** ლიტერატურის ციტირება ძირითად ტექსტში უნდა იქნას გამოყოფილი ბრჭყალებით „“, აუცილებელია ციტირებული ფრაზა იყოს შესაბამისად დამოწმებული (სქოლიოში მიეთითოს წყარო). შრიფტი უნდა იყოს ტექსტის შესაბამისი ზომის.

**რეზიუმე** - უნდა შესრულდეს ორ ენაზე ქართულად და ინგლისურად, მის ქვემოთ ასევე ორ ენაზე უნდა შესრულდეს საკვანძო სიტყვები. მოცულობა უნდა შედგებოდეს მინიმუმ 100 და მაქსიმუმ 150 სიტყვისგან.

**სქოლიო:** სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ბოლოს. შრიფტის ზომა – 9. სქოლიოს გვერდის ბოლოში განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს ციფრებით. ინტერვალი - 1. სქოლიო შესრულებული უნდა იქნეს **ჰარვარდის სტილში** (გვარი, ინიციალი. სრული სათაური. ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა. გამომცემლობა, გამოცემის ადგილი, წელი, ტომი, [ნომერი,].

მაგ: Xie W., Pu J., MacKerell A.D. Development of a Polarizable Intermolecular Potential Function (PIPF) for Liquid Amides and Alkanes. J. Chem. Theory Comput., 2007, 3, 6, 1878

**ხოლო ელექტრონული ბმულებს წინ, უნდა მიეთითოს რას ეხება აღნიშნული ბმული, ასევე მითითებულ იქნეს ბოლოს შემოწმების თარიღი.**

მაგ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009, იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=146> [10.02.2023]


Briand-Kellogg-Pact

1928

<https://www.jura.uni-muenchen.de/fakultaet/lehrstuehle/satzger/materialien/kellogg1928e.pdf> [10.02.2023]

ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს, ნაშრომის შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული თავები, ქვეთავები ან პარაგრაფები განაწილებულია ავტორებს შორის და გამოტანილი არაა ნაშრომის ავტორთა ვინაობა ყდაზე, ციტირება ხდება შემდეგი წესით: ნაშრომის სახელწოდება; ნაშრომის რედაქტორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი და წელი; შესაბამისი გვერდი.

Handbook of Polish Law, Edited by W. Dajczak, A.J. Szwarc, P. Wilinski, Poznan, 2011, 211.



**თავებისა და ქვეთავების დასახელებები:** იმ შემთხვევაში თუ სტატია შედგება თავებისგან/ქვეთავებისგან, შრიფტის ზომა არ შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. თავები უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.

**ზოგადი დებულებანი:**

ნახაზებისა და ცხრილების შემცველობა, ადგილმდებარეობა და ფორმატირება განპირობებულია ნაშრომის სპეციფიკით. სხვა ლიტერატურული წყაროებიდან აღებული ნახაზებისა და ცხრილების გამოყენებისას არ უნდა იქნას დარღვეული საავტორო უფლებები. ნახაზები და ცხრილები აიგება შავ-თეთრად, ასევე დასაშვებია ფერადი ილუსტრაციების გამოყენება.